სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080192953920916

 # 2141 **21** / ივლისი / **2016** წ.

სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 19 ივლისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ SMP160002002 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტი არის ინტერნეტ დომენური სახელის www.getc.ge დროებითი სარგებლობის მომსახურების (CPV-72400000 - ინტერნეტ მომსახურებები) შესყიდვა.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვის საჭიროება განაპირობა დომენური სახელის www.getc.ge დროებით სარგებლობის აუცილებლობამ. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო დომენური სახელების რეგისტრაციას ახორციელებს ინტერნეტ ციფრული ნომრების მიმნიჭებელი საერთაშორისო ორგანიზაცია „IANA“ (Internet Assigned Numbers Autority), ხოლო საერთაშორისო დომენის რეგისტრაციის სერვისს საქართველოსთვის განკუთვნილ ნაციონალურ დომენურ ზონაში „.GE“, საქართველოში ექსკლუზიურად უზრუნველყოფს შპს „კავკასუს ონლაინი“. აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ორგანიზაცია „IANA“-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.iana.org/domains/root/db/ge.html). შესაბამისად, ქვეყნის შიგნით არ არსებობს სხვა პირი, რომელიც შეძლებს განახორციელოს აღნიშნული მომსახურება.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც ორგანიზაცია „IANA“-ს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციიდან ირკვევა, შპს „კავკასუს ონლაინი“ არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც არეგისტრირებს ინტერნეტ დომენს საქართველოსთვის განკუთვნილ ნაციონალურ დომენურ ზონაში. შესაბამისად, ქვეყნის შიგნით არ არსებობს სხვა პირი, რომელიც შეძლებს განახორციელოს აღნიშნული მომსახურება.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ასევე, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

საგულისხმოა, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის" SMP160002002 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე